

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“
ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღებას განაპირობებს საერთო სასამართლოების სისტემაში რეფორმის განხორციელება.

ამ მიმართულებით მიმდინარე რეფორმა მოიცავს როგორც სასამართლო სისტემის ინსტიტუციურ ცვლილებებს, ისე სასამართლო შენობების რეკონსტრუქციას, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად. რეფორმა ასევე დაკავშირებულია სასამართლო ხელისუფლებაში ახალი კადრების მოზიდვასთან.

ა.ბ. კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია რეფორმის პროსექტში გამოირიცხოს ნაჩქარევი ნაბიჯების გადადგმა. დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა გარკვეული დრო, რადგან საქმე გვაქვს ქვეყანაში სწორედ მართლმსაჯულების განხორციელებასთან.

ა.გ. კანონპროექტის არსი

კანონის 443-ე მუხლის პირველი ნაწილის არსებული რედაქცია იმპერატიულად ადგენს სააპელაციო საჩივრის ერთპიროვნულად განხილვის წესს. წარმოდგენილი ცვლილებით კი სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის შეხედულებაზე ხდება დამოკიდებული სააპელაციო საჩივრის ერთპიროვნულად თუ კოლეგიურად განხილვა. ამასთან ერთად, კანონპროექტის საფუძველზე ხდება სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების ვადის 2007 წლის 1 იანვრამდე გადაწევა.

ბ.ა. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო